სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 6

ქ. თბილისი „29“ 11 2011 წელი

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მისი თავმჯდომარის გიორგი შონვაძის სახით და მეორეს მხრივ სს „დარიალი ენერჯი“, მისი გენერალური დირექტორის ზურაბ ალაიძის სახით, (შემდგომში „ორგანიზაცია“) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო და „ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულებით განსაზღვრული, 87737 კვ.მ მიწის ფართობის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის გამოყოფა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 „სააგენტო“ ვალდებულია:
- დაუშვას „ორგანიზაცია“ ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე;
- განახორციელოს სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლი.
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს „ორგანიზაცია“-ს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულებით განსაზღვრული ტერიტორია.

2.2 „სააგენტოს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „ორგანიზაციას“ სამუშაოების დროს დაიცვას „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები.

2.3 „ორგანიზაცია“ ვალდებულია:
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩაიბაროს „სააგენტოსგან“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულებით განსაზღვრული ტერიტორია.

- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისას დაიცვას „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები.
- „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების 27[5] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სს „დარიალი ენერჯი“ ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ტერიტორიები გადასცეს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სააგენტოს.

2.4 „ორგანიზაცია“-ს უფლება აქვს:

- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულებით განსაზღვრულ ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე;

3. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით.

4. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

4.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება მოლაპარაკების საფუძველზე.

4.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

5. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ინსპექტირებას სააგენტოს მხრიდან, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის გამოყოფილ მიწის ფართობზე ტყითსარგებლობის მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელების შესახებ“ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 28 ნოემბრის №5-/54 §1 ბრძანების თანახმად განახორციელებს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია.

6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 1 იანვრამდე.

6.2 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, როცა იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

6.3 მხარეები ფორს-მაჟორული სიტუაციის შემთხვევაში არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს.

6.4 ხელშეკრულება დგება სამ იურიდიულად თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლირად, ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ა) სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“: თბილისი, გ. გულუას ქ. №6; ს/კ 204911337
ბ) სს „დარიალი ენერჯი“: თბილისი, ჩაჩავას ქ. №8, ს/კ 401953061.

„სააგენტო“
სსიპ „დაცული ტერიტორიების
სააგენტო“

გიორგი შონვაძე
სააგენტოს თავმჯდომარე

„ორგანიზაცია“
სს „დარიალი ენერჯი“

ზურაბ ალავიძე
გენერალური დირექტორი

ხელმოწერა: